ეკა დარბაიძე •
თამილა ნიპარიშვილი •

დელიბერაციული პროცესების კვლევა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის იმპიჩმენტის მაგალითზე

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

სამეცნიერო საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს დელიბერაციული პროცესების კვლევა-ანალიზი. დისკურსის ეთიკისა და დელიბერაციის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, რადგან ქვეყნის დემოკრატიის განვითარების გზაზე კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. დისკურსის ეთიკისა და დელიბერაციის კვლევა ხელს უწყობს იმ სოციალურ და პოლიტიკურ კულტურას, რომელიც აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. საქართველოში, როგორც ჰიბრიდული რეჟიმის სახელმწიფოში უმნიშვნელოვანესია, რომ როგორც მოქალაქეებმა, ასევე პოლიტიკოსებმა შეძლონ კონსტრუქციული დიალოგი და კონსენსუსის მიღწევა, რაც პოლიტიკური სისტემის სტაბილურობისა და ეფექტურობის გარანტიას წარმოადგენს.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის აღძვრის საკითხის გარშემო გამართული საპარლამენტო დებატების ანალიზი დისკურსის განხილვის რაოდენობრივი გაზომვის მეთოდით. დელიბერაციული პროცესების კვლევა, იურგენ ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა **დელიბერაციული დემოკრატიის თეორიას**, გულისხმობს საჯარო დისკუსიების ტექსტების ანალიზს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით,

---

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

რათა შეფასდეს კომუნიკაციის ხარისხი და დემოკრატიულობა. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტში შემდგარი დებატების დისკურსის ხარისხის ინდექსი და რაოდენობრივი მონაცემების საშუალებით დადგინდა კონკრეტული დებატების ხარისხი. კვლევამ აჩვენა, რომ მთლიანობაში შესაძლებელი 50 ქულიდან, საქართველოს პარლამენტის დელიბერაციის ხარისხი იყო 33 ქულა, რაც მიუთითებს, რომ დელიბერაციის მაჩვენებელი განხილული საპარლამენტო დებატების დროს იყო მნიშვნელოვნად დაბალი, რომელიც მეტწილად განპირობებულია საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრების დელიბერაციის დაბალი მაჩვენებლით.

საკვანძო სიტყვები: დელიბერაცია, დისკურსი, საპარლამენტო დებატები, კონსტიტუცია, პრეზიდენტის იმპიჩმენტი.

დელიბერაციული დემოკრატია თანამედროვე დემოკრატიული სისტემების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის პროცესების კვლევა და მისი ანალიზი დღესდღეობით მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტიკური მეცნიერების, დემოკრატიის თეორიისა და სახელმწიფო მმართველობის შესასწავლად. იგი ხაზს უსვამს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფართო დისკუსიის, არგუმენტირებული განხილვისა და კონსენსუსის მიღწევის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს ინფორმირებულ და რაციონალურ გადაწყვეტილების მიღებას საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე. შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მსჯელობის კულტურა და დებატებისას კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა. პოლიტიკური დებატების პროცესში მონაწილეთა მრავალფეროვნება, მათი არგუმენტების სიღრმე და ჩართულობის დონე განსაზღვრავს დემოკრატიის წარმატებას.

საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს სწორედ იმ ინსტიტუტს, სადაც ხორციელდება ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს ფორმირება. შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო ორ-

განო წარმოადგენს სივრცეს, სადაც დელიბერაციული პროცესები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების გამჭვირვალობის გაუმჯობესების ერთგვარ ეფექტურ მექანიზმად.

სტატიის მიზანია საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერის შესწავლა, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი, შესაბამისად სტენოგრაფიული ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე დელიბერაციისა და დისკურსის ეთიკის ხარისხის განსაზღვრა. შესაბამისად, ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა დისკუსიებში არგუმენტების ტიპების კლასიფიკაცია და საპარლამენტო დელიბერაციული პრაქტიკის შეფასება. დელიბერაციული პროცესების კვლევა, იურგენ ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციის პროცესებზე, დემოკრატიული საზოგადოებების განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

იმპიჩმენტი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს, რომლის შედეგიც შესაბამისი თანამდებობის პირის გადაყენებაა. საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის წესით, რომლის საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევა, სახელმწიფოს ღალატი ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაული, რომლის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურის გავლის შემედგომ, გადაყენების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო იღებს[1].

“საქართველოს ორგანულ კანონში იმპიჩმენტის შესახებ” დეტალურად არის გაწერილი პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხი, რომლის აღძვრის უფლება პარლამენტის სრუ-

[1] საქართველოს ორგანული კანონი იმპიჩმენტის შესახებ, 1997, თავი I.

ლი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს აქვს[2]. აღნიშნული საკითხი განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა, რომელიც განიხილავს და პარლამენტს შესაბამისს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი დაუჭერს მხარს.

2023 წლის 30 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 31 აგვისტოს გერმანიის დედაქალაქში შეხვედრებით იწყებდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად ევროპელ ლიდერებთან შეხვედრებს. სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მთავრობას დაგეგმილი ვიზიტების განხორციელების შესახებ, წინადადებით 2023 წლის 12 ივლისს მიმართა, თუმცა მათგან უარი მიიღო.

საქართველოს მთავრობის აღნიშნული განცხადების შემდეგ, იმჟამინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ და ასევე მმართველი პარტიის „ქართული ოცნების" სხვა წევრებმა საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციის უხეშ დარღვევაში დაადანაშაულეს და დააანონსეს, რომ აღნიშნულ ფაქტს „რეაგირების გარეშე ვერ დატოვებდნენ". მთავრობის უარის მიუხედავად, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერი პრეზიდენტის ვიზიტები მაინც შედგა.

[2] იქვე

14 სექტემბერს, მმართველი პარტიის 80 დეპუტატის მიმართვით საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა კონსტიტუციური წარდგინება N17973, რომლითაც ისინი მიმართავდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ შეემუშავებინა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის დასკვნა. შეტანილი წარდგინების საფუძველს წარმოადგენდა კონსტიტუციის 49-ე მუხლის მესამე პუნქტი, რომლის თანახმად, "საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში"[3]. კონსტიტუციური წარდგინების ავტორები აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტმა დაარღვია 52-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი "მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში", შესაბამისადაც, საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში. მათი განცხადებით პრეზიდენტმა ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მთავრობის უარის მიუხედავად, მაინც გამართა. "სალომე ზურაბიშვილს აღარ მივიჩნევთ პრეზიდენტობის ღირსად", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ, მისი მტკიცებით, *„ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის მხარდაჭერის იმედით არღვევდა საქართველოს კონსტიტუციას, რომლის* მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის დარღვევამ "სისტემური ხასიათი მიიღო"[4].

სახელისუფლებლო პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების" 80 დეპუტატის სახელით საკონსტიტუციო წარდგინება სასამართლოში 14 სექტემბერს შევიდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს საკითხის განსახილველად და დასკვნის მოსამზადებლად კონსტიტუცია ერთ თვიან ვადას აძლევდა. სწორედ ერთი თვის თავზე, კერძოდ კი 16 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო

[3] საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციის **49**-ე მუხლის მე-**3** პუნქტი. https://www.parliament.ge/legislation/constitution/279

[4] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 18 ოქტომბერი სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერები;

სასამართლომ გამოაცხადა, რომ ევროკავშირის სამ ქვეყანაში მთავრობის თანხმობის გარეშე მოგზაურობით პრეზიდენტმა ქვეყნის კონსტიტუცია დაარღვია. იმპიჩმენტის პარლამენტში კენჭისყრაზე გასატანად აუცილებელი იყო სასამართლოს უარყოფითი დასკვნა, კერძოდ კი 9 მოსამართლიდან 6-ის თანხმობა. სწორედ ექვსმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ პარტია „ქართული ოცნების“ პრეტენზიებს საფუძველი ჰქონდა - პრეზიდენტის ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობით ქვეყნის კონსტიტუცია დაირღვა. "საქართველოს პრეზიდენტმა 2023 წლის 31 აგვისტოს, 1-ელ სექტემბერს და 6 სექტემბერს საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების დროს საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, რითაც დაარღვია კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტის განაწესი. დანარჩენმა სამმა განსხვავებული აზრი გამოხატა. განსხვავებული აზრი ცხრიდან მხოლოდ სამ მოსამართლეს - ირინე იმერლიშვილს, გიორგი კვერენჩხილაძეს და თეიმურაზ ტუღუშს ჰქონდა. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, კონსტიტუციის ნებისმიერი სიმძიმით დარღვევა შესაძლოა გახდეს იმპიჩმენტის საფუძველი. მათ არ გაამახვილეს ყურადღება, პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ კონსტიტუციაში არსებულ ერთ-ერთ ჩანაწერზე („სადაც აღნიშნულია, რომ იგი ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს”), ხომ არ აძლევდა მას დამატებით შესაძლებლობებს.

საკითხის პოლიტიკური შეხედულებებით გადაწყვეტამდე საქმის სამართლებრივი მხარე საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა. პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით სამართლებრივი ნაწილი მას შემდეგ ამოიწურა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა საბოლოო დასკვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის კონსტიტუცია დაარღვია, რომლის შემდგომ პროცესმა საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე მომხსენებელმა, "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ სალომე ზურა-

ბიშვილს უთხრა, რომ "ელემენტარული ღირსება" რომ ჰქონოდა, თავადვე გადადგებოდა იმის მიუხედავად, პარლამენტი მხარს დაუჭერს თუ არა მის იმპიჩმენტს. თავად სალომე ზურაბიშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ დღეს პარლამენტში არა მისი, არამედ მმართველი პარტიის და ქვეყნის ბედი წყდებოდა. "ქვეყანას იზოლაციისკენ მიაქანებთ", - მიმართა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან სახელისუფლებო პარტიის წევრებს.

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი 18 ოქტომბერს გაიმართა საკანონმდებლო ორგანოში. რეგისტრაცია გაიარა 90-მა დეპუტატმა. ოპოზიციის ნაწილი, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დარბაზში არ იმყოფებოდნენ. საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ შედგა, ვინაიდან მმართველმა პარტიამ ვერ შეძლო მოეგროვებინა პრეზიდენტის გადასაყენებლად საჭირო პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის, შესაბამისად 100 დეპუტატის ხმა. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას 86-მა დეპუტატმა მისცა ხმა, ხოლო ერთი წინააღმდეგ წავიდა.

საიმპიჩმენტო ქმედების დამახასიათებელი ელემენტს უნდა წარმოადგენდეს ე.წ. “ზიანის მიყენება” სახელმწიფოს, კონსტიტუციური წყობილებისა და თავად პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის. ზიანის ელემენტი თავის დროზე ამერიკულ კონსტიტუციონალიზმში ინგლისური საერთო სამართლიდან შემოვიდა, სადაც საიმპიჩმენტო დანაშაულები და გადაცდომები მიმართული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს წინააღმდეგ. იმპიჩმენტი ყოველთვის გამოიყენებოდა იმგვარი ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ “ხელისუფლების სისტემას”, რაც გულისმობს იმას, რომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა უნდა წარმოადგენდეს იმგვარი მნიშვნელობის საჯარო/პოლიტიკურ გადაცდომას, რომელიც კრიტიკულ საფრთხეს უქმნის როგორც სახელმწიფოს, ასევე კონსტიტუციურ წყობას და თავად პრეზიდენტის ინსტიტუტის ერთიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის

წარმომადგენლები აპელირებენ იმაზე, რომ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტებს ჰქონდა საზიანო, ნეგატიური გავლენა ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის, საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება საპირისპიროს ამტკიცებდა. იმპიჩმენტის მნიშვნელოვანი ელემენტი თანამდებობის პირის მიერ "საზოგადოებრივი ნდობის ღალატი", რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის, როგორც მათი ნდობით აღჭურვილი უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე პირის შემთხვევაში. თუმცა დამტკიცდა, რომ საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის შემთხვევაში, პრეზიდენტის ქმედებები ვერ შეფასდებოდა საზოგადოების ნდობის ღალატად, ვინაიდან უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სწორედ საქართველოს პრეზიდენტი გვევლინებოდა ისეთ სახელისუფლებო კონსტიტუციურ ინსტიტუტად, რომელიც იცავდა კონსტიტუციურად განმტკიცებულ ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

დელიბერაციული პროცესების კვლევა საპარლამენტო დებატების კონტექსტში მოიაზრებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების ანალიზის შესაძლებლობას. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს, როგორც შინაარსობრივ, ასევე პროცედურულ ასპექტებს, რაც პოლიტიკური დებატების ფართო სურათის შექმნაში გვეხმარება. იურგენ ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული მოდელი ეყრდნობა **დელიბერაციული დემოკრატიის თეორიას**, რომელიც შეისწავლის იმას, თუ როგორ შეიძლება გადაწყვეტილებები მიღებული იქნას კოლექტიური დისკუსიის პროცესში, რაც ეფუძნება ლოგიკას, არგუმენტებსა და კონსენსუსს. მეთოდოლოგიურად, ჰაბერმასის მიდგომა გულისხმობს საჯარო დისკუსიების ტექსტების ანალიზს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით, რათა შეფასდეს კომუნიკაციის ხარისხი და დემოკრატიულობა. ჰაბერმასის მოდელში განიხილება შვიდი ძირითადი ინდიკატორი, რომლებიც დელიბერაციული პროცესების ხარისხის შეფასებას უწყობს ხელს. ესენია: I-

მონაწილეობა, II-არგუმენტაციის ხარისხი, III-არგუმენტაციის შინაარსი, IV-პატივისცემა ჯგუფების მიმართ, V-პატივისცემა სხვათა მოთხოვნათა მიმართ, VI-პატივისცემა კონტრარგუმენტების მიმართ და VII - კონსტრუქციული პოლიტიკა. ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან თითოეულს გააჩნია შეფასებათა საკუთარი, ინდივიდუალური სისტემა, რითაც ხდება მომხსენებელთა გამოსვლებისთვის ქულების მინიჭება.

კოდირების პროცესში მნიშვნელოვანი იყო ტექსტის კონტექსტის გათვალისწინება, რათა მინიჭებული კოდები ყოფილიყო ზუსტი და შეესაბამებისი კვლევის მიზნებთან, რომელიც მოიცავდა შემდეგ საფეხურებს, როგორიცაა **ერთეულის განსაზღვრა** და **კოდის მინიჭება**, როდესაც თითოეული მონაკვეთს მიენიჭა შესაბამისი კოდი ინდიკატორის მიხედვით. კოდირების პროცედურა შედგებოდა ორი ეტაპისგან; პირველ ეტაპზე მკვლევრები შეთანხმდნენ, თუ რომელი გამოსვლა იყო რელევანტური კვლევისთვის, იყო თუ არა შესაძლებელი შეფასებულიყო ესა თუ ის გამოსვლა ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული დისკურისის ეთიკის კრიტერიუმებით; მკვლევარების მიერ ინდივიდუალურად კოდების მინიჭება, ემსახურება ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკის სანდოობას, რადგან ზოგიერთი კრიტერიუმის კოდის განსაზღვრა დამოკიდებულია უშუალოდ ექსპერტის სუბიექტურ შეხედულებაზე საკითხის მიმართ, რაც თავისთავად ზრდის არაობიექტური შედეგის მიღების ალბათობას. ამის გათვალისწინებით, კვლევას აწარმოებს რამოდენიმე დამოუკიდებელი მკვლევარი, რომლებიც საბოლოო ჯამში, ერთმანეთს წარუდგენენ მიღებულ შედეგებს და განსხვავებული კოდების არსებობის შემთხვევაში ახდენენ საკუთარი პოზიციების არგუმენტებით დაცვას, რის შედეგადაც თანხმდებიან ერთ საერთო კოდზე. იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მკვლევარი არ შეიცვლის პოზიციას, მოხდება ცალ-ცალკე მათი კოდების წარმოჩენა და საბოლოო შედეგის გამოვლენა, შემდგომ კი მიღებული შედეგების შეჯერება და საშუალო არითმეტიკულის დადგენა. აღნიშნული

მეთოდი უზრუნველყოფს კვლევის შედეგის მაქსიმალურ სანდოობასა და ვალიდურობას.

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის შემთხვევის შესწავლისას, 23 გამომსვლიდან 16 გამოსვლამ მოგვცა შესაძლებლობა მეტ - ნაკლებად შვიდივე კრიტერიუმით შეგვეფასებინა. დანარჩენი შვიდი გამოსვლა არ იყო ღირებული და მხოლოდ პირველი კრიტერიუმით შეფასდა. ნაშრომზე მუშაობისას მოცემული შვიდი კრიტერიუმიდან, აღებულია შვიდივე, რომელიც ყველაზე ნათლად წარმოაჩენს დელიბერაციის ხარისხს, შემდგომ კი მიღებული მონაცემებისთვის მოხდა შესაბამისი ქულების მინიჭება 1-დან 10 ქულამდე, საბოლოო ჯამში მაქსიმუმი ქულა არის 50. განისაზღვრა პროცენტული მაჩვენებელი მიღებული მონაცემების მიხედვით და შესაბამისად მოხდა მათთვის 1-დან 10-მდე ქულის მინიჭება.

პირველ კრიტერიუმს, რომლის საშუალებითაც განისაზღვრა დეპუტატთა ურთიერთპატივისცემა და დებატების კულტურის დონე, წარმოადგენს მონაწილეობის მაჩვენებელი, რაც გულისხმობს კომუნიკაციის ხარისხის შეფასებას, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მონაწილეების ქცევის ეთიკური და დემოკრატიული ასპექტები. აღნიშნული კრიტერიუმით შეფასდა 23 მოხსენება, აქედან 11 მომხსენებელს შეაწყვეტინეს გამოსვლა და მას მიენიჭა კოდი - 0, ხოლო 12 მომხსენებელს შეაწყვეტინეს გამოსვლა და მას მიენიჭა კოდი-1. ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული მკვლევრის სუბიექტურ მოსაზრებაზე და შესაბამისად 23 მოხსენებიდან, 12 მომხსენებელის ანუ დაახლოებით 52%-ის შემთხვევაში არ დაფიქსირდა გამომსვლელისთვის ხელის შეშლის ფაქტი და მიენიჭა 5 ქულა, რაც ქართული პარლამენტის დებატების დაბალ კულტურასა და ურთიერთპატივისცემაზე მეტყველებს.

მეორე კრიტერიუმი - არგუმენტაციის ხარისხი, რომელიც ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ლოგიკურად და დასაბუთებულად არის წარმოდგენილი გამომსვლელის არგუმენტები. აღ-

ნიშნული კრიტერიუმი გულისხმობს არა მხოლოდ არგუმენტაციის არსებობას, არამედ მის სიღრმისეულ ანალიზსა და ადეკვატურ გამოყენებას კონკრეტულ კონტექსტში. დებატების დროს თითოეული გამომსვლელის გამოსვლას ვაფასებთ შემდეგი კოდებით:

კოდი 0 - აღნიშნავს არგუმენტაციის სისუსტეს ან მის არარსებობას. ამ შემთხვევაში დისკუსია შეიძლება შეფასდეს დაბალი დონით, რადგან დასკვნა ან პოზიცია არ ემყარება ლოგიკურ, დასაბუთებულ არგუმენტებს. სუსტი ილუსტრაციები კი უფრო სიმბოლური ხასიათისაა და არ არის საკმარისი არგუმენტების გამოსახატავად.

კოდი 1 - სუსტია არგუმენტი; მომხსენებელი ეთანხმება, რომ უნდა მიიღონ კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრულია დღის წესრიგით, მაგრამ მოყვანილი არგუმენტები არის ზოგადი და ბუნდოვანი.

კოდი 2 - კვალიფიციური არგუმენტი; ამ შემთხვევაში მოხსენებაში არსებობს ზუსტად ჩამოყალიბებული არგუმენტი და ახსნილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არგუმენტაციასა და დღის წესრიგში არსებული საკითხის შესახებ გამოთქმულ პოზიციას შორის.

კოდი 3 – დახვეწილი არგუმენტაცია; მომხსენებელი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე არგუმენტს საკითხის შესახებ და ამასთანავე, ეს არგუმენტები ადეკვატური და პრობლემის შესაბამისია, ავლენს საკითხის მიმართ ექსპერტულ დამოკიდებულებას განიხილავს პრობლემის არსს და სთავაზობს მისი გადაწყვეტის გზებს.

მოცემული კვლევის ფარგლებში 16 მოხსენება შეფასდა განსაზღვრული კრიტერიუმით, რომელსაც ჰქონდა 4 განსხვავებული კოდი. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: 7 **მოხსენება** აღმოჩნდა არარგუმენტირებული ან სუსტად არგუმენტირებული, 8 **მოხსენება** შეფასდა როგორც კვალიფიციური ან დახვეწილად არგუმენტირებული. აქედან გამომდინარე, მხოლოდ იმ მოხსენებებს მიენიჭა ქულები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ დამაკმაყოფილებელი

არგუმენტირებულობის მოთხოვნას. 8 მოხსენებას მიენიჭა 5 **ქულა**, რაც მთლიანი რაოდენობის 50%-ს შეადგენს. ამგვარად, შედეგებიდან ვლინდება, რომ კვლევის ფარგლებში განხილული მოხსენებების ნახევარმა დააკმაყოფილა არსებული არგუმენტირებულობის სტანდარტი.

მესამე კრიტერიუმი - არგუმენტაციის შინაარსი – მისი განსაზღვრა აუცილებელია იმისთვის, რომ დადგინდეს, როგორი დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკოსებს სხვადასხვა ჯგუფებისა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ. იგი მოიცავს არგუმენტაციის შინაარს, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ რომელი ჯგუფის ინტერესებს ეხება გამოსვლა. ხშირ შემთხვევაში მომხსენებელი ნეიტრალურ განაცხადს აკეთებდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც გამომსვლელები, საუბრობდნენ მცირე ჯგუფის, თუ საზოგადოების ინტერესების დაცვაზე.

კოდი 0 - ენიჭება ზუსტად ჩამოყალიბებულ განაცხადს, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის ინტერესებთან, თუ მომხსენებელის მიერ გაკეთებული განცხადება ეხება კონკრეტულ მცირე ჯგუფს და მის ინტერესებს, შესაძლებელია, ერთდროულად განიხილებოდეს რამდენიმე ჯგუფის საკითხი.

კოდი 1 - ნეიტრალური განაცხადი: წარმოდგენილი არ არის მკაფიო ცნობები ამომრჩევლების/ჯგუფის ინტერესებისთვის ან საერთო კეთილდღეობისთვის. თუ გამომსვლელის მოხსენებაში კონკრეტულად არ ფიქსირდება ესა თუ ის ჯგუფი, თუმცა, გამომდინარე თემატიკის შინაარსიდან, შესაძლებელია, თავისათავად იგულისხმებოდეს ესა თუ ის ჯგუფი.

კოდი 2 - აღნიშნული კოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამოსვლაში ნათლად ჩანს ზუსტი განცხადება, რომელიც ეხება საერთო კეთილდღეობას ან საზოგადოების უდიდეს ნაწილს. მისი განსაზღვრა ხშირად ხდება ისეთი სიტყვების ან ფრაზების იდენტიფიცირებით, რომლებიც მიანიშნებენ ეროვნული მასშტაბის ინტერესებზე, მაგალითად: *მთელ ერს, საზოგადოებრივ ერთიანობას, ქვეყნის კეთილდღეობას* და სხვ.

კოდი 3 - საერთო კეთილდღეობის შესახებ ზუსტი განაცხადი, გამოხატული სხვადასხვა სპეციფიკური ტერმინით. საუბარი არის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე, მაგრამ არა მთლიანად საზოგადოებაზე, მაგალითად საზოგადოების ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა შემადგენელი ნაწილები.

როგორც უკვე აღინიშნა, არგუმენტაციის შინაარსში მოიაზრება ის ჯგუფები, რომლებსაც ეხებათ გამოსვლა, ზემოთ განმარტებულია კოდები, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ კრიტერიუმის შეფასება; არსებული მასალის მიხედვით, 16 მოხსენებიდან, 7 მოხსენება იყო ნეიტრალური, ხოლო 9 ანუ დაახლოებით 56% ეხებოდა მცირე ჯგუფის, თუ საზოგადოების ინტერესების დაცვას, შესაბამისად მას მიენიჭა 5 ქულა.

მეოთხე კრიტერიუმი - პატივისცემა ჯგუფების მიმართ, აღნიშნული კრიტერიუმი უშუალო კავშირშია წინა მახასიათებელთან, არგუმენტაციის შინაარსთან, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რომელ ჯგუფს ეხება მომხსენებლის გამოსვლა, ან საერთოდ მოიაზრებს თუ არა კონკრეტულ აქტორს. აქედან გამომდინარე, თუკი, მოხსენებაში იკვეთება რომელიმე ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება, შესაძლებელი ხდება განისაზღვროს ამ დამოკიდებულების ხასიათი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, გამოსვლაში არ ჩანს კონკრეტულად ვის, ან რას ეხება მოხსენება.

კოდი 0 - უპატივცემულობა: ეს კოდი იმ შემთხვევაში ენიჭება გამოსვლას, თუ მომხსენებელი უარყოფით კონტექსტში საუბრობს ამა თუ იმ ჯგუფზე, ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიყენოთ კონტენტ-ანალიზი, (დავითვალოთ ნეგატიური განწყობის ამსახველი სიტყვები), ან მოვახდინოთ შინაარსის გააანალიზება).

კოდი 1 - იმპლიციტური (ფარული) პატივისცემა: ენიჭება გამოსვლას, როდესაც არ ჩანს გამომსვლელის დამოკიდებულება ჯგუფის მიმართ, არც ნეგატიური და არც პოზიტიური. ამასთანავე, თუ საკითხი იმდენად მასშტაბურია, რომ თავისთავად მოიცავს საზოგადოების დიდ ნაწილს, თუმცა გამოსვლაში არ არის ნახსენები მაინც ხდება აღნიშნული კოდის მინიჭება.

კოდი 2 - ექსპლიციტური (მკაფიოდ გამოხატული) პატივისცემა: გამოიყენება მაშინ, როდესაც ჯგუფის შესახებ სულ მცირე ერთი დადებითი განცხადება მაინც კეთდება, როდესაც აშკარად გამოიხატება დადებითი დამოკიდებულება ამა თუ იმ ჯგუფისა და ინდივიდების მიმართ.

რაც უფრო ნათლად ჩანს პატივისცემა აღნიშნული ობიექტის მიმართ, მით მაღალია გამომსვლელის მოხსენების კულტურა. მასალის კვლევის შედეგად 16 მოხსენებიდან, 9 მოხსენებაში ფიქსირდება უპატივცემულობა, ხოლო 7 მოხსენებაში ანუ 43% მომხსენებლის გამოსვლაში კი, არ ფიქსირდება დადებითი, თუ უარყოფითი განწყობის გამომხატველი ნიშნები, შესაბამისად მას მიენიჭა 5 ქულა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ აღნიშნულ დებატებში, მოცემული კრიტერიუმის გათვალისწინებით, პარლამენტართა უმრავლესობა დელიბერაციის დაბალ კულტურას ამჟღავნებს.

მეხუთე კრიტერიუმი - პატივისცემა სხვათა მოთხოვნების მიმართ. აღნიშნული კრიტერიუმის კოდები ზუსტი ანალოგია წინა ინდიკატორის კოდების შესაბამისად. გამოსვლისთვის კოდის მინიჭება დამოკიდებულია მოხსენების შინაარსზე, რომელიც ზომავდა პატივისცემას სხვათა მოთხოვნათა მიმართ. შესწავლილი 16 გამოსვლიდან 9 მოხსენებაში ფიქსირდება უპატივცემულობა, ხოლო 2 ანუ დაახლოებით 13% გამოსვლიდან იმპლიციტური (ფარული) პატივისცემა და მიენიჭა 2 ქულა. შედეგიდან ჩანს, რომ მომხსენებელთა უმრავლესობა გამოხატავდა უპატივცემულობას სხვათა მოთხოვნების მიმართ, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი ფარულ პატივისცემას, რაც ამცირებს დელიბერაციის ხარისხს.

მეექვსე კრიტერიუმი - პატივისცემა კონტრარგუმენტების მიმართ - ეს ინდიკატორი, როგორც წესი ყველაზე ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი, რადგან მისი შეფასება რომ მოხდეს, საჭიროა ერთბაშად რამდენიმე პირობას აკმაყოფილებდეს მოხსენება; პირველ რიგში, აუცილებელია, არსებობდეს კონკრეტული მოხსენების მიმართ გამოთქმული შენიშვნა, თუ კრიტიკა, ხოლო თუ მომ-

ხსნებელი, რომლის გამოსვლის მიმართ გამოითქვა კონტრარგუმენ-ტები, ეხმაურება მას, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ხსნებული ინდიკატორის შეფასება სხვადასხვა კოდების მიხედვით. ამ შემთხვევაში საჭიროა განხილულ იქნას, 2 მოხსენება, ერთი, როგორც კონტრარგუმენტი, მეორე როგორც პასუხი ამ კონტრარ-გუმენტის მიმართ, რათა მოხდეს შეფასება აღნიშნული 4 კოდის მიხედვით;

კოდი 0 - რომელიც აღნიშნავს "ყურადღების მიღმა დატოვე-ბულ კონტრარგუმენტებს," გულისხმობს, რომ არსებობს გამოთქ-მული შენიშვნები ან კრიტიკა, მაგრამ მომხსენებელი მათ არ ეხმა-ურება და უგულებელყოფს.

კოდი 1 - კონტრარგუმეტები, რომლებიც მოიხსენიება, მაგრამ ნეგატიურ კონტექსტში: აღნიშნულ კოდს მიმართავენ, როდესაც მომხსენებელი პასუხობს კონტრარგუმენტს უარყოფითი განცხადე-ბებით, ან ამგვარი განცხადებების ადრესატები არიან ის ინდივი-დები და ჯგუფები, რომლებმაც ეს არგუმენტები დაასახელეს. ერთი უარყოფითი განაცხადიც კი საკმარისია იმისთვის, რომ გამოსვლას მიენიჭოს კოდი 1.

კოდი 2 - კონტრარგუმენტები, რომლებიც მოიცავენ ნეიტრა-ლურ მტკიცებას: ამ კოდის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრარგუმენტი ნახსენებია გამომსვლელის ტექსტში, თუმცა მის შესახებ არ არის გაკეთებული არც დადებითი და არც უარყოფითი კომენტარი.

კოდი 3 - კონტრარგუმენტის ჭეშმარიტების აღიარება: ეს კო-დი გამოიყენება, თუ კონტრარგუმენტი აღიარებული და აშკარად ღირებულია. მსგავსი კოდის მინიჭება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხსენებელი აღიარებს, რომ გამოთქმული შენიშვნა, თუ არგუმენ-ტი სრულიად სამართლიანია.

პატივისცემა კონტრარგუმენტების მიმართ, წარმოაჩენს მომ-ხსენებლის დებატების კულტურას. ამ შემთხვევაში ჰაბერმასის მე-თოდოლოგიის მეექვსე კრიტერიუმი, “პატივისცემა კონტრარგუმენ-ტების მიმართ”, ასახავს დისკუსიის კულტურას. როგორც ჩანს, ეს

კრიტერიუმი ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი, რადგან მისი შეფასება უფრო რთულია და მოითხოვს გარკვეული პირობების დაკმაყოფილებას. საჭიროა, რომ მომხსენებლის გამოსვლას მოჰყვეს კრიტიკა ან შენიშვნები, რათა შესაძლებელი იყოს შემდგომი რეაქციების შეფასება, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს მომხსენებლის დამოკიდებულებას დებატების მიმართ.

საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის სხდომის დებატების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ დეპუტატებს მათი გამოსვლის მიმართ გამოთქმული კრიტიკისადმი, 16 გამოსვლიდან - ყურადღების მიღმა დატოვებული კონტრარგუმენტები - 7 მოხსენება; უარყოფითი დამოკიდებულება კანტრარგუმენტების მიმართ - 4 მოხსენება; ნეიტრალური - 2 მოხსენება, მხოლოდ 3 ანუ - 19% დეპუტატმა მიიღო დადებითად მათი წინა გამოსვლისადმი გამოთქმული შენიშვნა, თუ კრიტიკა, რაც მიუთითებს დებატების პოზიციონისტურ ხასიათზე და მას მიენიჭა 2 ქულა. მოცემული მონაცემები მკაფიო სურათს ქმნის იმისას, თუ როგორი იყო დელიბერაციის მაჩვენებელი განხილული დებატების დროს. ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ აღნიშნული კრიტერიუმი იშვიათად სრულდება, რაც დელიბერაციის დაბალ დონეზე მიუთითებს.

მეშვიდე კრიტერიუმი - კონსტრუქციული პოლიტიკის შეფასება, ზრუნვა კონსენსუსის მშენებლობაზე, რასაც უწოდებენ "კონსტრუქციულ პოლიტიკას". აღნიშნულ კრიტერიუმში დისკურსი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად არის კონსენსუსის მიღწევის მცდელობა მონაწილეებს შორის. ჰაბერმასის მოდელში კონსტრუქციული პოლიტიკა ფასდება სამი კოდის მიხედვით:

კოდი 0 - პოზიციური პოლიტიკა: მომხსენებლები მტკიცედ რჩებიან საკუთარ პოზიციებზე. არ არის კომპრომისის მიღწევის, შერიგების ან კონსენსუსის მშენებლობის მცდელობა.

კოდი 1 - ალტერნატიული წინადადება: ამ კოდის შემთხვევაში, მონაწილე ცდილობს, შესთავაზოს ალტერნატიული იდეა, რომელიც არ არის შესაბამისი მიმდინარე დისკუსიის ჩარჩოებთან.

ასეთი წინადადებები შეიძლება არ იყოს ამ დებატებისათვის რელევანტური, თუმცა მათ პოტენციური ღირებულება შეიძლება ჰქონდეთ მომავალი დისკუსიებისთვის ან სხვაგვარი დღის წესრიგისთვის. იგი მიუთითებს გარკვეულ კრეატიულობასა და ზრუნვაზე, თუმცა პირდაპირი გზით კონსენსუსისკენ არ მიისწრაფვის.

კოდი 2 - მედიატორული წინადადება: ამ შემთხვევაში საუბარია წინადადებაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია მიმდინარე დღის წესრიგთან და მიმართულია დისკუსიაში მყოფი მხარეების შერიგებაზე ან კონსენსუსის მიღწევაზე. ასეთი მიდგომა ჰაბერმასის მოდელში ყველაზე კონსტრუქციულად ითვლება, რადგან მისი მიზანი შეთანხმების აქტიური მიღწევაა. ეს კრიტერიუმები ხაზს უსვამენ დისკურსში ურთიერთობების მნიშვნელობას და იმ გავლენას, რომელსაც სხვადასხვა მიდგომა ახდენს დემოკრატიული პროცესის კონსტრუქციულობაზე. იგი არის ბოლო, შემაჯამებელი კრიტერიუმი ჰაბერმასის დისკურსის ეთიკის, სადაც დაფიქსირებულია გამომსვლელთა საბოლოო პოზიცია, შეიცვალეს მათ თავდაპირველი შეხედულებები, თუ ბოლომდე საკუთარ აზრზე დარჩნენ. 16 მოხსენებიდან - ალტერნატიული წინადადება - 2 მოხსენება, მედიატორული წინადადება - 1 მოხსენება, ხოლო 13 მომხსენებელმა ანუ დაახლოებით 82% ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი პოზიცია, მათ მიენიჭა 9 ქულა. რაც, სავარაუდოდ, ასახავს პოზიციური პოლიტიკის დომინირებას და დისკურსის კონსტრუქციულობის დაბალ დონეს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ დეპუტატთა უმეტესობის თავდაპირველი შეხედულებები არ შეცვლილა და კონსენსუსის მიღწევა სირთულეს წარმოადგენდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანობაში შესაძლებელი 50 ქულიდან, საქართველოს პარლამენტის დელიბერაციის ხარისხი განისაზღვრა 33 ქულით, რაც მიუთითებს, რომ დელიბერაციის მაჩვენებელი განხილული დებატების დროს იყო საკმაოდ დაბალი. საბოლოოდ კენჭისყრის შედეგად მომხრე 87, წინააღმდეგი 1, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი ჩავარდა, რად-

გან საჭირო იყო დეპუტატთა ხმების 2/3. აღნიშნულ სხდომაზე დებატებში მონაწილეობა მიიღო 12-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა, მათ შორის ოთხმა ქალმა დეპუტატმა (უმრავლესობიდან კი მხოლოდ ერთმა ქალმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა დებატებში), კენჭისყრის დროს ოპოზიციონერი დეპუტატების უმრავლესობამ დატოვა დარბაზი და კენჭისყვრაში არ მიიღო მონაწილეობა. მიღებული მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი მეტწილად განპირობებულია მეათე მოწვევის პარლამენტის წევრთა დელიბერაციის ხარისხის დაბალი დონით.

დ ა ს კ ვ ნ ა

დელიბერაცია ცვლის პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ შედეგზე, არამედ უშუალოდ პროცესზე. გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს დებატებს, რომლებიც მოიცავს ყველა მონაწილეს, რომლის პროცესში თითოეული მონაწილე აანალიზებს საკუთარ პოზიციას, ცდილობს მოისმინოს და გაიგოს სხვათა შეხედულებები და პოზიციები, ახდენს საკუთარ შეხედულებებზე რეფლექსიას და ეძებს კონსესუსს კოლექტიურ ჭრილში. აქცენტი კეთდება იმაზე, რომ დისკურსის პროცესში მონაწილე პირებმა არა უნდა მხოლოდ გამოხატონ თავიანთი აზრი, არამედ პასუხისმგებლობით მოეკიდონ საუბარს, გამოამჟღავნონ ინტერპერსონალური პატივისცემა და შეეცადონ მიაღწიონ შეთანხმებას იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ყველა მხარის მიერ მსჯელობის შედეგად უნდა იყოს მიღებული. ეს ყოველივე ხელს უწყობს დემოკრატიის გაძლიერებას და საზოგადოებაში კოლექტიური სოლიდარობის განვითარებას.

ამგვარად, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში დებატების ხარისხი არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დისკურსის მიმდინარეობა. ქართველი პოლიტიკოსები ნაკლებ ყურადღებას ამახვილებდნენ მსჯელობის არგუმენტირებულ, ლოგიკურ, სტრუქტურულ

და რაციონალურ ასპექტებზე, რომელთა მეშვეობითაც უნდა დადგინდეს მსჯელობის მართებულობა და მიაღწიონ კონსენსუსს.

თუ შევადარებთ ქართული პოლიტიკური დელიბერაციის ხარისხს ჰაბერმასის მიერ წარმოდგენილ მახასიათებლებს და მათი არსებობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს შეფერხებითა და ხარვეზებით. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები არ ფლობდნენ მაღალ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო კულტურას, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის. მათთვის ნაკლებად ღირებული იყო მოქალაქეთა მონაწილეობის როლი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დაგეგმვის პროცესში. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვნესია, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ამაღლდეს პოლიტიკოსთა სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურა და გაიზარდოს მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის დონე. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გაიზარდოს განათლების ხარისხი, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს ფორმირებას და აქტიურად ითანამშრომლოს მათთან, ასევე სამეცნიერო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორთან. გაითვალისწინოს მათი ხედვები და იზრუნოს სასარგებლო რეკომენდაციების რეალიზაციაზე.

დელიბერაციული პროცესების გამოკვლევა საქართველოს პარლამენტის მაგალითზე ხელს შეუწყობს უფრო ძლიერი და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ამ პროცესების გაღრმავება მნიშვნელოვნად გაზრდის კანონმდებლობის ხარისხსა და საზოგადოებრივ ნდობას პარლამენტისადმი. კვლევის შედეგები ასევე შეიძლება გახდეს სამომავლო საკანონმდებლო რეფორმების საფუძველი, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს დელიბერაციული დემოკრატიის პრინციპების დანერგვას საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Habermas, J. (1981). *The theory of communicative action: Volume 1: Reason and the rationalization of society*. Beacon Press.

2.InterPressNews. (2024, ნოემბერი 18). სალომე ზურაბიშვილი საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად ევროპელ ლიდერებთან შეხვედრებს იწყებს. https://www.interpressnews.ge/ka/article/768000-salome-zurabishvili-sakartvelostvis-statusis-minichebis-mxardasacherad-evropel-liderebtan-shexvedrebs-icqebs

3.რადიო თავისუფლება. (2023, 23 ოქტომბერი). კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა იმპიჩმენტის საფუძველია - როგორ დაასაბუთა ექვსმა მოსამართლემ პრეზიდენტის საქმე. *რადიო თავისუფლება*. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90-6-%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94/32650533.html

4.საქართველოს ორგანული კანონი იმპიჩმენტის შესახებ. (1997, ნოემბერი 21). *დოკუმენტი 1056*, თავი III.

5.საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. (2023, აგვისტო 30). https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid0EuqamcqaEWVx9jChfRycEqnWUZoyDYgwYe13xYwTEG1XFp3m4UAuf6bqfp8Yd8vl

6.საქართველოს პარლამენტის წევრები. (2024). საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხზე კონსტიტუციური წარდგინება. მოპოვებულია კონსტიტუციური სასამართლოს ვებ-გვერდიდან: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15869

7.საქართველოს პარლამენტი. (2023, 18 ოქტომბერი). *საქართველოს X მოწვევის პარლამენტი, სხდომის ოქმი და სტენოგრამა, ოქმი N 173*

Eka Darbaidze
Tamila Niparishvili

The Study of Deliberative Processes: The Case of the Impeachment of Georgia's Fourth President

Abstract

The study and analysis of deliberative processes is of particular interest to the scientific community. The research of discourse ethics and deliberation is especially relevant in Georgia, as the country faces significant challenges in the development of its democracy. The study of discourse ethics and deliberation contributes to the social and political culture essential for the democratic development of the country. In Georgia, as a hybrid regime state, it is crucial for both citizens and politicians to be able to engage in constructive dialogue and reach consensus, which guarantees the stability and effectiveness of the political system.

This paper presents an analysis of parliamentary debates surrounding the impeachment of Georgia's fourth president, Salome Zourabichvili, using the method of quantitative measurement of discourse. The study of deliberative processes, based on Jürgen Habermas's model rooted in deliberative democracy theory, involves analyzing the texts of public discussions with specific indicators to assess the quality and democracy of communication.

The paper provides an index of the discourse quality in the debates held in the Parliament of Georgia and evaluates the quality of specific debates through quantitative data. The research shows that out of a possible total of 50 points, the quality of the parliamentary debate in Georgia scored 33 points, indicating that the deliberative quality during parliamentary debates was significantly low, largely due to the low deliberation performance of the members of parliament.

Key words: Deliberation, Discourse, Parliamentary debate, Constitution, Impeachment of the President.